№ 24
სამშაბათი, 1 თებერვალი, 1900 წ.

** გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 24
სამშაბათი, 1 თებერვალი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერიის“ რედაქციისაგან

რედაქცია აცხადებს, რომ ამ 1900 წლის „ივერიის“ № № 1-დგან 8-მდე და მე-13 სრულიად გაიყიდა და რედაქცია ახალს წლიურს ხელის მომწერლებს ვეღარ უგზავნის.

---

**აზნაურნი ოქროპირ დავითის ძე და მიხეილ და ამბაკო ოქროპირის ძენი ქლენტები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა წარსულს 7 იანვარს, ქ. ერევანში,—პირველი ძვირფასის შვილისა და მეორენი—ძმისა

კაპიტანის

### ნიკოლოოზ ოქროპირის ძის ქლენტისას.

(1—276—1)

---

დღეს, 1 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი ფელდმარშალის

### კნ. ელისაბედ დიმიტრის ასულის ბარიატინსკის

სულის მოსახსენებლად.

(1—277—1)

---

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 3 თებერვალს 1900 წ.

### ბენეფისი ს. პ. სვიმონიძისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან ბ-ნ ალექსეევ მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი

დრამა 5 მოქ. თხზულება შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი მ. აბაშიძე და კ. მესხი.

---

**გამგეობა გურიის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლისა“** ამით აცხადებს, რომ ექვს თებერვალს 1900 წლისა დილის ათ საათზედ ქ. ოზურგეთში

დანიშნულია გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლის“ წარმომადგენელთა **წლიური კრება**

განსახილველია შემდეგი საგნები:
ა., 1899 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
ბ., დივიდენდის განაწილება.
გ., მიღება ახალ წევრთა.
დ., შემოღება ახალწევრებზედ გარდა წილისა—შემოსავლელი ფულისა.
ე., გამორიცხვა იმ წევრთა, რომელთაც სესხი და ნისია არ შემოუტანიათ.

(3—248—3) მმართველი ს. ჭეიშვილი

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
**მიხეილ გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი.** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12 —1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ვაადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შაპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

---

# ფელეტონი

## რა გავლენა აქვს ფიზიკურ მიზეზებს ადამიანის ცხოვრებაზედ?

უეჭველია, რომ კაცი ბუნებისაგან დაჯილდოებულია ისეთის ნიჭითა და თვისებით, რომელსაც მოკლებულნი არიან სხვა არსებანი. მხოლოდ ერთი მისი თვისება—სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ—თვისება თანდათან განვითარებისა აყენებს მას იმ სიმაღლეზედ, რომელსაც ვერ შესწვდა ვერც ერთი სხვა არსება; აძლევს ისეთს იარაღს, რომლითაც ის თავისს ცხოვრებას აუმჯობესებს, რომლითაც ებრძვის სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მიზეზს და, ასე წარმოიდგინეთ, ხანდისხან ამარცხებს მკაცრ და ულმობელ ბუნებრივ სტიქიონსაც-კი.

ადამიანს შეუძლიან დაკვირვებით, მსჯელობითა და აზროვნობით შესანიშნავ დასკვნამდის მივიდეს და ეს დასკვნა ისეთის სარგებლობით განახორციელოს თავისს ცხოვრებაში, რომ განცვიფრებაში მოიყვანოს ყველა და დაარწმუნოს თავისს ყოვლად შემძლებლობაში. ამასა ჰმოწმობს ისტორია და თვით ცხოვრება...

მაგრამ ასეთი სიძლიერე ადამიანის ჭკუა-გონებისა, ასეთი მისი ყოვლად შემძლებლობა მხოლოდ მოჩვენებულია: ადამიანს თითონ თავისის ბუნებრივ ძალ-ღონითა და თვისებით ბევრის არაფრის გაკეთება არ შეუძლიან. მისი ორგანიზმი, მისი ნდომა-სურვილი და მოქმედება ფიზიკურ მიზეზებით არის შეზღუდულ-შემოფარგლული.

მაგალითად, ავიღოთ ადამიანის სხეული. ადამიანის სხეულსა და ფსიხოლოგიურ მოვლენათა შორის მჭიდრო კავშირია; უსხეულოდ ადამიანის ფსიხიკა შეუძლებელ-წარმოუდგენელია. როდესაც შესამჩნევად იცვლება სხეული, იცვლება აგრეთვე ფსიხიკა.

კერძოდ ადამიანის სხეული, რომლისაგანაც დამოკიდებულია სულიერი, შინაგანი მოვლენანი, რამდენისამე კვირის განმავლობაში მთლად იცვლება. საკმარისია ორი კვირა, რომ კაცის სხეული მთლად გამოიცვალოს, თუ ეს ცვლილება ყველა სხეულში ერთნაირად და თანაბრად ხდება. გარეგნობით ჩვენ ამ ცვლილებას ნათლად და გარკვეულად არ ვამჩნევთ და ეს იმისთვის, რომ სხეული სცდილობს დაიცვას ერთხელ მიღებული სახე და ამისთვის ყოველს ახალს ელემენტს თავისებურად ინელებ-ითვისებს, თუმცა ხშირად ვერ აღწევს სასურველს.

საჭმელი და მისი თვისება დიდად ჰმოქმედებს ადამიანის სხეულზედ და სახეს უცვლის. ამისათვის რამდენადმე ჭეშმარიტია ნათქვამი: „კაცი არის ის, რასაცა სჭამს“, თუმცა არა სრულად...

ზოგიერთი სწავლულის აზრით, ჰაერსა და სხვა ფიზიკურ მოვლენათ დიდი გავლენა აქვს ადამიანის სხეულზედ, მაშასადამე გრძნობა-გონებაზედაც, მთელს მის სულიერ თვისებაზედ. მონტესკიემ ამ აზრზედ მთელი თეორია დაამყარა... მართლაც მარტო ჰაერს კი არა, მიწის ნიადაგის ღირსებას, ზღვის ან მდინარის ნაპირას ცხოვრებას, ან მათგან განშორებულად ყოფნასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და მისის ცხოვრებისათვის.

ზღვის პირად მცხოვრებნი მეთევზეობას, ალებ-მიცემობას მისდევენ. ამ თავისის ხელობის აღსრულების დროს მათ ხშირად შეხვდებათ მკაცრი და სასტიკი ბრძოლა ზღვისა და იმის ტალღებთან. ხშირად მათი სიცოცხლე ბეწვზეა დამოკიდებული: ერთი მძლავრი ტალღა, ერთი უხერხული ხელის მოქნევა, ერთი ქარის დაბერვა-და გაუმაძღარი და ულმობელი სტიქიონი შთანთქავ-ჩაღუპავს! გადარჩა სიკვდილს მეთევზე და მენავე... საფიქრებელია, რომ ის კვლავ არ გაჰბედას მძლავრ მტერთან შეტაკება-შებრძოლებას! მაგრამ არა... ისევ კვლავ უშიშრად აპობს ზღვის ტალღებს და თავისს ხელობას მისდევს... ეს მუდმივი ბრძოლა, მუდმივ გაჭირვება-განსაცდელში ყოფნა ხდის ზღვის ნაპირას მცხოვრებთ უშიშრად: იგი შეუპოვარი, მხნე და მამაცია; თავოსნობით, მხნეობით აღსავსეა; იგი თითქოს განსაკუთრებით, სხვანაირად გრძნობს, ჰფიქრობს და მიისწრაფის; მისი სხეულიც გაჭირვებაში გამობრძმედებულია... ასეთის ჯურის ხალხი ჰქმნის თავისებურ კულტურას: მათი ისტორია, მწერლობა, ხელოვნება და პოეზია სხვა ხალხისას არა ჰგავს.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ბარში მცხოვრები ხალხი. იგი მიწის შემუშავებას და პირუტყვის მოშენებას მისდევს და ეს გაუხდია ცხოვრების უმთავრესს სახსრად. როგორც ნიადაგი, ბუნება ბარისა ერთფერია,—აგრეთვე იქ მომუშავე ხალხის ცხოვრებაც ერთფერია; ბარი მყუდრო და წყნარია—წყნარი და მყუდროა ბარელების ცხოვრებაც. ბარი უფრო ლმობიერია, ვიდრე მძვინვარე ზღვა: მას ყველასათვის გადაუშლია გულმკერდი და უბრძოლველად ნებდება ადამიანს, თითქოს ეუბნებაო: ოღონდ შენ გაისარჯე, ხელი გაიქნიე და შემლებისა დაგვარად შენს შრომას დავასაჩუქრებო.

ამ გვარად ბარში ბუნება და ადამიანის შორის კეთილ განწყობილებაა, მშვიდობიანობაა, კაცის ცხოვრებაც, ხასიათიც აქ ამ მშვიდობიანობის ელფერს იღებს: აქ წყნარი, მშვიდობიანი, აუშფოთველი და სალიდარული შრომა-დამოკიდებულება ჰმეფობს; აქ ვერ შეხვდებით ზღვაოსანთა გამბედაობას, მხნეობას, გიჟურს მისწრაფებას, თავოსნობას, სულიერ სხვა-და-სხვაობა—მრავალფეროვანობას. ამისათვის ბარელების კულტურა-ისტორია იღებს თავისებურ ელფერს, ხასიათს; მათს გრძნობა-გონების ნაყოფს: ლიტერატურას, ხელოვნებას, პოეზიასაც თავისებური დაღი აზის: ყოველი ეს თუმცა სიმძლავრესა და ალმა ფრენას მოკლებულია, მაგრამ მათი ღირსება სიმშვი-

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—88)

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად: აზ. კასილ ნასიძე და კონსტანტინე გიგაური პირველი — ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა, ხოლო მეორე ჩურუქსის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა.

გადაყვანილ იქმნა: გუმბრის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ვიქტორ ბახტაძე — ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში იმავე თანამდებობაზედ.—

## ახალი ამბავი

*** კვირას, 30 იანვარს, საბაღოსნო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს მოლიერის სამ-მოქმედებიანი კომედია: „სკაპენის ცუღლუტობა", თარგმანი ა. წერეთლისა, და თ. რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული ორ-მოქმედებიანი ვოდევილი: „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ". პირველს პიესაში თვალ-საჩინო როლი ჰქონდა კ. მესხს, რომელიც თვით სკაპენის როლს ასრულებდა და ჩვეულებრივ კარგად შეასრულა. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ამ საღამოს ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ, რომელმაც ვოდევილში ქვრივის ელისაბედ შუბლაძის როლი ისე ნიჭიერად, ისე მშვენივრად წარმოადგინა, რომ მთელ თეატრში [illegible] საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

*** გუშინ, 31 იანვარს, ტფილისის დეპუტატთა საკრებულოში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება იყო. კრებას უნდა შეემუშავებინა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობას ეპატიოს ჯარიმა, რომელიც შეწერილი აქვს საერობო გარდასახადის დროზედ შეუტანლობისა გამო და აგრეთვე შეედგინა პროექტი, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს თავად-აზნაურთა მამულების დაფასებისა და შემოსავლის რაოდენობის აღრიცხვის საქმე. კრებამ, ბევრის კამათის შემდეგ, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის წინადადების თანახმად, დაადგინა: შუამდგომლობა აღძრას ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ამის შესახებ; შუამდგომლობის ქაღალდის შედგენა მიენდოს განსაკუთრებულს კომისიას, რომლის წევრებადაც ამ კრებაზედვე ამორჩეულ იქმნენ: თავადნი კავალერიის გენერალი ი. გ. ამილახვარი, ი. გ. ჭავჭავაძე, ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი, ა. ზ. ჩოლოყაშვილი და ი. ზ. ანდრონიკაშვილი; ამ კომისიას დაევალოს ოთხს თებერვლისათვის მომზადება შუამდგომლობის ქაღალდისა და 4 თებერვალსავე დაინიშნოს თავად-აზნაურობის საგანგებო კრება ამ კომისიის მიერ შედგენილ ქაღალდის მოსასმენად და განსახილველად.

*** გუშინ, 31 იანვარს, სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე აზნაურის კირილე გიგინეიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავ. ივანე მელიქიშვილის მოკვლა. ეს მკვლელობა, როგორც მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, ქ. ბათუმში მოხდა, „იმპერიალის" სასტუმროში, სადაც თავ. ვარდენ გურიელსა და თავ. მელიქიშვილს ლაპარაკი მოუვიდათ; ამ ლაპარაკის დროს გიგინეიშვილი მიეშველა გურიელს, რომლის მოკვლაც უნდოდა თ. მელიქიშვილს, რისთვისაც ამ უკანასკნელმა ყბაში ესროლა რევოლვერი; გიგინეიშვილმა რევოლვერი ესროლა მელიქიშვილს და იქვე მოჰკლა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ გიგინეიშვილი გაამართლა, რადგან იცავდა თ. გურიელს. პალატამ, სადაც ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა გადმოიტანა, დამნაშავედ სცნო გიგინეიშვილი, შესცვალა ოლქის სასამართლოს განაჩენი და გადაუწყვიტა ბრალდებულს 4 თვით საპყრობილეში დაპატიმრება და საეკლესიო მონანიება.

*** დაღესტნის ოლქის სასტატისტიკო კომიტეტმა სთხოვა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების გამგეობას გამოგვიგზავნეთ თქვენი წერილები და შრომანი, რომელშიაც რამე ცნობებია კავკასიის შესახებ, რადგანაც კომიტეტისათვის მეტად საჭიროა ასეთი ცნობები, რომ სასურველად მოაწყოს თავისის წიგნთ-საცავის საქმეო.

*** შაბათს საღამოს ვერაზედ ი. ბებუროვმა რევოლვერი ესროლა თავისს ცოლს მარიამ ბებუროვს და ორგან მძიმედ დასჭრა მკერდში, როგორც ამბობენ, მიზეზი ცოლის ურიგო ყოფა-ქცევა ყოფილა.

*** დღეს, 1 თებერვალს, მოხდება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი კავკასიის მკურნალთა მეორე კრების მოწვევის შესახებ და მოხსენება იმ კომისიისა, რომელსაც დაევალა ნატახტარის წყაროების გამოკვლევა.

*** შაბათს, 29 იანვარს, ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა საზოგადო კრებამ გარდასწყვიტა, რომ 1901 წელს, მომავალ სამეურნეო გამოფენის დროს, მოწვეულ იქმნას ტფილისში რუსეთის მებაღეთა და მევენახეთა კრება.

*** საქართველოს ეგზარხოსს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ფლავიანეს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ საგუბერნიო საერობო გარდასახადიდგან სამრევლო საეკლესიო სკოლებისთვის იმდენი ფული იქმნას გადადებული, რამოდენსაც პირველ დაწყებით სამინისტრო სკოლებისთვის გადასდებენ ხოლმე, ე. ი. 85,000 მან. ამჟამად სამრევლო სკოლებს ეძლევათ მხოლოდ 12,300 მანეთი მაშინ, როდესაც საქართველოს ოთხს ეპარქიაში სამრევლო სკოლების რიცხვი ორჯელ მეტია მთლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამინისტრო პირველ დაწყებით სკოლებზედ.

*** ამ დღეებში სეპარქიო სამისიონერო ძმობამ მიიღო შემოწირულება 1000 მანეთი თავისს წევრის ი. ა. კოლესნიკოვისაგან, რომელიც მოსკოვში სცხოვრობს. ამ ფულიდგან ნახევარი ძმობის საჭიროებას მოხმარდება, ნახევარი კიდევ იმ თანხას მიემატება, რომლითაც განზრახულია ააგონ ვერაზედ ეგრედ წოდებულ „კალიუჩი ბალკაში" ეკკლესია, სკოლა და სამკითხველო ხალხისათვის.

*** რადგანაც საუფლისწულო უწყების და კ. ს. პოპოვის მამულებში ჩაის მცენარემ სამაგალითოდ იხარა, სამეურნეო დეპარტამენტმა გადასწყვიტა გააშენოს ახალი პლანტაციები დასავლეთ კავკასიაში. ამის გამო დეპარტამენტმა მიჰმართა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს და სთხოვა შეკრებილ იქმნას საჭირო ცნობები. აზრადა აქვთ ჩაის მცენარეები გააშენონ კერძო მემამულეების და სკოლების მიწებზედ.

*** კვირას, 30 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზედ ტფილისის ქალთა 1 გიმნაზიის დარბაზში „ასლის" საზოგადოების წევრთა კრება მოხდა. კრებაზედ დასწრო მხოლოდ 16 წევრი. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგეობის ვრცელი მოხსენება, რომელშიაც დაწვრილებით იყო აღნუსხული საზოგადოების ბავშვთა სამკურნალოსა და თავშესაფარის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდგან სჩანს, ბავშვთა სამკურნალოს შემოსავალს თანდათან უკლია, ასე რომ ამ უკანასკნელს წელს გასავალი იმდენად აღემატება შემოსავალს, რომ გამგეობამ არ იცის როგორ გაუძლოს სამკურნალოს მრავალ-გვარ მოთხოვნილებას. ამის გამო გამგეობას დაუდგენია გააუქმოს ბავშვთა სამკურნალო და იმის მაგიერ დააარსოს მეორე ბავშვთა თავშესაფარი. ცოტა ოდენის კამათის შემდეგ კრება გადადებულ იქმნა 6 თებერვლისათვის. მიზეზი კრების გადადებისა ის იყო, რომ წევრები ცოტანი შეიკრიბნენ.

*** ტფილისის რუსულ სასწავლებლის შესანახად შარშან, 1899 წელს, დახარჯულა 62,391 მან. ამ ფულში ის ხარჯი არ არის ჩათვლილი, რომელიც პანსიონის შენახვას მოუნდა.

*** როგორც გავიგეთ, ახლო მომავალში აზრადა აქვთ კავკასიის სამკურნალო წყლების რკინის გზით გადატან-გადმოტანის გარდასახადი შეამცირონ.

*** გუშინ-წინ, 29 იანვარს, სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე

---

დე და სიწყნარე...

ხალხის ბუნებრივი სარწმუნოებაც ბევრად დამოკიდებულია იმისაგან, თუ რა ფიზიკურ გარემოებაშია ჩაყენებული მისი ცხოვრება, რა ბუნებრივს ძალასა და მოვლენასა აქვს იმაზედ მოქმედება.

ბარელი აღმერთებს იმ მოვლენას, რომლისაგანაც დამოკიდებულია ბედ-იღბალი მისის შრომისა და ხელობისა: მზეს, მთვარეს, წვიმას, სინათლეს. ბარელის ღმერთი ისეთივე ლმობიერი, წყნარი და შემწყნარებელია, როგორც თვით ბარელი და მისი ცხოვრება. ამისათვის მისის გულის მოსაგებად არ არის საჭირო სისხლის ღვრა, კაცის სიცოცხლის შეწირვა; საკმარისია პირველ ნაყოფიერების ერთის ნაწილის შეწირვა, სამადლობელის ზვარაკის დაკვლა.

სულ სხვა ელფერისა და ხასიათისაა მთიულებისა და ზღვის ნაპირას მცხოვრებლების სარწმუნოება და ღმერთები. მთიული აღმერთებს ბუმბერაზს მთებს, კლდე-ღრეს, აჩრდილს მთებისას, ჩაქუხას, ჭექა-ქუხილს; ზღვის პირს მცხოვრები — გაფთრებულს ზღვასა და მისს ტალღებს და იმ საშიშ და მძლავრ ცხოველებს, რომლებიც ზღვაში სცხოვრობენ. ეს ღმერთები უფრო ძლიერნი, სასტიკნი და შეუბრალებელნი არიან. აქედგან მზადდება თავისებური კულტი მათის თაყვანის ცემისა და მომადლიერებისა...

„ყოველს ხალხს აქვს თვისი ინდივიდუალური სახე: მისი ხელოვნება, ლიტერატურა, წეს-წყობილება, სარწმუნოება და სისტემა სწავლა-განათლებისა მომეტებულ ნაწილად დამოკიდებულია იმისს სამშობლო მხარის ბუნებრივი თვისებათა და ისტორიული წარსულისაგან" *).

კერძოდ ყველაზედ ძლიერად და თვალსაჩინოდ ადამიანის ცხოვრებაზედ ჰმოქმედობს ეკონომიური მდგომარეობა-ვითარება; უზრუნველყოფობა, ან სიღარიბე-ქორწინება, დაბადება, სიკვდილი ჰმატულობს, ან ჰკლებულობს იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია სახსარი ცხოვრებისა, თუ როგორ ფასდება და ჯილდოვდება შრომა. ვთქვათ, მაგალითად, მოუსავლობისა გამო პური გაძვირდა, ამ მოვლენას თან სდევს ავადმყოფობა და ხშირი სიკვდილი. კასპეროს გამოკვლევით, ათას ერთს დროს დაბადებათა შორის ცოცხალი რჩება: **)

| ხუთის | წლის | შემდეგ | მდიდრები: | ღარიბები: |
|---|---|---|---|---|
| „ | 5 | „ | 943 | 655 |
| „ | 10 | „ | 938 | 598 |
| „ | 20 | „ | 866 | 566 |
| „ | 30 | „ | 798 | 486 |
| „ | 40 | „ | 695 | 396 |
| „ | 50 | „ | 557 | 283 |
| „ | 60 | „ | 398 | 172 |
| „ | 70 | „ | 235 | 65 |
| „ | 80 | „ | 57 | 9 |

ამ გვარად შუათანა ხანგრძლივობა უზრუნველყოფილების ცხოვრებისა აღინიშნება 50, ღარიბებისა-კი 32 წლით. მარტო ის გარემოება, რომ ერთი ბალღი იბადება მდიდარ დედმამის ქვეშსაგებებში და მეორე კი ღარიბის ცივ და ნესტიან ლოგინზედ — პირველს 18 წლით უგრძელებს სიცოცხლეს, მეორეს-კი უმოკლებს! საზოგადოდ, უზრუნველ-ყოფა, კარგი საჭმელ-სასმელი და ტანისამოსი, დროს გატარება აგრძელებს ადამიანის სიცოცხლეს, თუ მდიდარმა სიცოცხლე არ შეიმოკლა უზომო და პირუტყვულ ცხოვრებით.

ვილერმის გამოკვლევა ნათლად ამტკიცებს ამ აზრს. მისის გამოანგარიშებით, პარიჟის იმ უბანში, სადაც მდიდრები სცხოვრობენ, ყოველწლობით კვდება $^1/_{58}$ მკვიდრთა; იქ კი, სადაც ღარიბები ჰბოგინობენ, — $^1/_{40}$.

ჰადვიგი საკუთარმა დაკვირვებამ შემდეგ დასკვნამდის მიიყვანა: იმ უბნებში, სადაც შეძლებულები სცხოვრობენ, კვდება ხუთ წლამდის ასში ოცი ბალღი; მუშა ხალხის უბნებში-კი იხოცება ასში ორმოც-და-ათი. შუათანა ხანგრძლივობა პირველთა აღინიშნება რიცხვით — 44; უკანასკნელების, — 22 წ.

ეს საბუთები (და სხვა მრავალი) ამტკიცებს და ცხადს ჰყოფს იმ აზრს, რომ რამდენადაც ნაკლებია რომელსამე ქვეყანაში, ხალხსა და წოდებაში ცივილიზაცია და უზრუნველ-მყოფელობა, რამდენადაც ჰსუსტობს კულტურა და მძვინვარებს სიღარიბე-უმწეობა, იმდენად მეტს ადამიანს ასალმებს წუთისოფელს ულმობელი სიკვდილი — ეს მოუსყიდველი მტერი კაცობრიობისა, რომელსაც დოკგი ყოველისავე შიშისა და შეძრწუნების მეფედა სთვლის. („Смерть есть царь ужасовъ *).

ხანგრძლივობა ჰმატულობს კულტურასა და უზრუნველ-მყოფელობასთან ერთად. ბევრჯერ უნდოდათ სწავლულებს გამოეანგარიშათ სწორ და მართალ ციფრებით ადამიანის ხანგრძლივობა, მაგრამ, სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, ასეთ სწორე, მათემატიკურ ანგარიშისათვის საკმაო მასალა არ მოიპოვება. ამ ანგარიშიდგან (რომელიც, რასაკვირველია, უნაკლო, უტყუარი არ არის) მხოლოდ ერთი მართალი რამ შეგვიძლიან დავსკვნათ. თუმცა ხანგრძლივობა ეხლანდელის მოხუცებულისა შესაძლოა არ აღემატებოდეს იმ ხანგრძლივობას, რომელიც ათასის წლის წინედ იყო, მაგრამ მეტი ნაწილი ეხლა დაბადებულებისა შუათანა ხნიერებასა და თითქმის მოხუცებულობასაც მიაღწევს ხოლმე.

სიღარიბე უმწეობა ამცირებს რიცხვს დაბადებისას, ამოკლებს ადამიანის ცხოვრებას: ჭლექი, შავი ჭირი, ხოლერა, სიფილისი და სხვა მრავალი გადამდები ავადმყოფობა, რომლებიც მუსრს ავლებენ ხშირად კაცობრიობას, მომეტებულად სიღარიბე-უმწეობის შედეგი და იმათ კლანჭებში უვარდება უმეტეს ნაწილად ღარიბ-ლატაკი და ცხოვრების სახსარს მოკლებული. მდიდარი აქაც უსხლტება ხელიდგან სიკვდილს და იმისს მოციქულს — ავადმყოფობას! სამკურნალო მეცნიერება, ჰიგიენა და სანიტარია მდიდრების ფარხმალია, მათი მოსამსახურეა. ღარიბებს ათასში ერთსაც, და ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ერგება ხოლმე ამათი სამსახური. ისინი, თუ-კი შეიძლება ასე ვთქვათ, არისტოკრატთა მეცნიერებანი არიან და ჯერაც, სამწუხაროდ, არ გადემოკრატებულან. მათის მოქმედება-სამსახურის სარბიელი მომეტებულ ნაწილად მდიდრების სასახლეა და არა ღარიბის ქოხი!

ეს რომ ასე არ იყოს, მაშ რითი აიხსნება ის შემძრწუნებელი ამბავი, რომ რუსეთის ზოგიერთ გუბერნიაში, თუმცა სიფილისი ისე მძვინვარებს, რომ ათი და ასი ათასობით ხდებიან ამ უკურნებელ სენით ავად, მაგრამ მაინც სენს ჯეროვანი ყურადღება არა აქვს მიქცეული?

---

*) იხ. ვ. ა. გოლცევი: „Воспитаніе, нравственность и право", გვ. 71.

**) სტატისტიკური ცნობები ამოვკრიბეთ ვოლბოს თხზულებიდგან: „Исторія человѣческой культуры", т. I.

*) იხ. მისი „Мысль о Воспитаніи", გვ. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციის მოხელედ ნამყოფის პოპოვის და სხვათა, რომელთაც ლეკის ჯიბარას მოტყუებით გამარცვა ჰბრალდებათ. ბრალდებულნი—პოპოვი, ფხაკაძე, ჯანელიძე და კვილოვი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მათ 6 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

*** პოლიციის 1 ნაწილში 28 იანვარს დაიჭირეს 30 უპასპორტო კაცი.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგმა ბ-ნმა მოსევიჩმა გამოუცხადა პოლიციის მეცხრე ნაწილის ბოქაულს, რომ 28 იანვარს ჩემს ბინაზედ მომპარეს სხვა-და-სხვა ტანისამოსი, ღირებული 15 მანეთადაო.

*** კათოლიკეების ეკკლესის მნათეს ცოლს ფ. სტეფანსკაიასას განუცხადებია პოლიციის მეცხრე ნაწილის ბოქაულისათვის, რომ ჩემის სახლიდგან, მელიქოვის ქუჩაზედ, მომპარეს ოქროს საათი, ფულად 9 მან., ორი სამაჯური და სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთებიო. ეგევე განუცხადებია ამ ეკკლესიის წინანდელს მნათეზედ, რომლის სახლი უკვე გაუჩხრეკიათ, მაგრამ ნივთები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** დიდი-ლიახვის ხეობა. აქ თაი იჩინა საოფლემ. ჯერ-ჯერობით სოფ. ქურთაში ორი იმსხვერპლა ამ სენმა და ზოგიც ავად არის, თუ დროზედ არ იქმნა ღონისძიება მიღებული, სენი მთელს ხეობაში მოიკიდებს ფეხს.

ამ ჟამად აქეთ მშვენიერი დარები დაიჭირა; ალაგ-ალაგ ბალახიც ამწვანდა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. თიანეთი.** 14 იანვარს მოხდა თიანეთის სავაჭრო ამხანაგობის წევრთა კრება, რომელზედაც წაკითხულ იქმნა რევიზიის ანგარიში. ანგარიშიდგან სჩანს, რომ გასასყიდი საქონელი ყოფილა (ნასყიდობის ფასებით) 774 მანეთისა და 44 კაპ., ნისია წევრებზედ—684 მ. 85 კაპ., ავეჯი—245 მ. 93 კ., ნაღდი ფული კასსაში—226 მ. 12 კ., სულ ამხანაგობის მთელი ქონება 1931 მ. და 34 კ. პაის ფული 940 მ., კალი ბაინდურლოვისა 623 მ. 88 კ., სახლის ქირა გასასტუმრებელი 59 მ. 78 კ., წარსულის წლის მოგება 44 მ. 18 კ. სულ თანხა და კალი უდრის 1667 მ. 84 კ. მაშასადამე, წლის განმავლობაში სავაჭრო ამხანაგობას მიუღია წმინდა მოგება (1931 მ. 34 კ.—1667 მ. 84 კ.)=263 მ. 50 კ. ამ მოგებაში შედის ის სამი თუმანი, რომელიც შემოვიდა შენობის ორის ოთახის გაქირავებით ზაფხულის თვეებში, ასე რომ თითონ ვაჭრობას მიუცია ამხანაგობისათვის 233 მ. 50 კ. წმინდა მოგება.

წლის განმავლობაში სავაჭროს გაუწევია შემდეგი ხარჯი: ნოქრის ჯამაგირი 306 მან., სახლის ქირა 30 მ., გათბობა და განათება 29 მან. 65 კ., სავაჭრო საბუთების ქაღალდები 164 მ. 81 კაპ., საკანცელარიო ხარჯი 13 მ., მთელის წლის განმავლობაში საქონლის მოტანაში მიუცია 293 მ. 2 კ., ახალის წესდებისთვის მარკები და სხვა ხარჯი—10 მ. 20 კ. სულ 846 მ. 68 კ. საერთო მოგება-კი ქონია (263 მ. 50 კ.+846 მ. 68 კ.)=1110 მ. 18 კ., ხოლო დაარსებიდგან ამხანაგობას წმინდა მოგება ქონია 307 მ. 68 კ. სავაჭროში წლის განმავლობაში სავაჭროს უყიდნია: კოლონიალური საქონელი 423 მ. 51 კ., თხუთმეტი სახსლნე ღვინო ასმეტიდგან 1084 მ. 84 კ., თელავიდგან 279 მ. 41 კ., სარაჯოვის სასმელები 216 მ. 13 კ., ჭაჭის არაყი 113 მ. 53 კ. სულ ღვინო და არაყი უყიდნია 1693 მანეთისა და 92 კაპ., სასმელები და წვრილმანი საქონელი ერთად 5925 მან. 43 კაპ. წლის განმავლობაში გაუყიდნია 7105 მანეთის საქონელი.

საზოგადოება კმაყოფილი დარჩა ამ ანგარიშით და დაამტკიცა იგი. გამგეობის წევრთ საქმის კარგად წაყვანისათვის ფეხზედ დგომით მადლობა გარდაუხადეს. ეს მადლობა ეკუთვნის ვანო ჩიბალაშვილსაც, რომელიც ამ საქმეს სათავეში ედგა და აწარმოებდა წარსულის წლის 12 ოქტომბრამდე. სავაჭრო ამხანაგობის ნოქარი მაქრო ნემსაძე კეთილ-სინიდისიერ და ერთგულის სამსახურისათვის საზოგადოებამ ერთი თვის ჯამაგირით დაასაჩუქრა. რადგანაც ამხანაგობა ახალის წესდებით აწყებს საქმის წარმოებას და ძველ გამგეობასაც ვადა შეუსრულდა, ამიტომ საზოგადოებამ საჭიროდ სცნო ახალის გამგეობის ამორჩევა. არჩევანების შემდეგ გაიმართა ბაასი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება მიიღონ საქმის გაძლიერებისა და ახალი წევრების მოპოვებისთვის. ბევრის სჯის შემდეგ, კრებამ დაადგინა: გამოსცენ ხუთ მანეთიანი პაი და ერთი მანათიც შესასვლელი გარდასახადი დააწესონ. ეს მანათი წესდების ძალით აღარ დაუბრუნდება გასულ წევრს და ამხანაგობის სასარგებლოდ რჩება.

ვინმე

## რუსეთი

მთავრობას უკვე აღნიშნული აქვს, რა გვარად უნდა შეიცვალოს წესი სასოფლო გარდასახადის მოკრებისა. სოფლად ხშირად სცხოვრობენ ხელოსნები, მოქალაქენი და სხვანი, რომელნიც იმა სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნიან, მაგრამ ჰვაჭრობენ-კი და სამოსახლო ადგილებიცა აქვთ. ესენი სასოფლო გარდასახადს არ იხდიან, თუმცა ჰსარგებლობენ სოფლის მართვა-გამგეობის სიკეთით. აზრად აქვთ წილი დაადებინონ სასოფლო გარდასახადში იმათ, რომელთაც უძრავი ქონება აქვთ, ამ ქონების საფასურის კვალობაზედ შეეწერებათ გარდასახადი, ხოლო ვაჭრებს—იმის კვალობაზედ, თუ რას იხდიან სავაჭრო მოწმობაში, ისე-კი, რომ სოფლის გარდასახადი ამ მოწმობაში გადებულ ფულის $1/4$ ს არ აღემატებოდეს.

— უწმიდესმა სინოდმა განკარგულება მოახდინა მართლ-მადიდებელ სარწმუნოების უწყებაში სახელმძღვანელოდ, რომ ყოველ სასულიერო ცენზურას მიერ დასაბეჭდად ნებადართულ და გამოცემულ წიგნის ერთი ცალი უწმიდესის სინოდის წიგნთ-საცავში იქმნას წარდგენილიო.

— 19 იანვარს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კრებაზედ სხვა ცხრათა შორის სიტყვა-კაზმულ სიტყვიერების ახალ განყოფილების საპატიო აკადემიკოსად ამორჩეულ იქმნა სენატორი ა. ფ. კონი.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** როგორც ინგლისის სამხედრო მინისტრმა განაცხადა ამ დღეებში საზოგადოებათა პალატაში, სულ ცოტა ხნის განმავლობაში ინგლისს ეყოლება სამხრეთ აფრიკაში, მე-8 ქვეითა და მე-4 ცხენოსან ჯარის დივიზიების გარდა, 180,000 კაცი, 36 დიდი ზარბაზანი, 38 გემების ზარბაზანი, 36 გაუბიცი და 288 მსუბუქი ზარბაზანი. პირველ გაგონებაზედ ეს ციფრები ყველას იმას აფიქრებინებს, რომ ეხლა მაინც ვეღარ გაუმაგრდებიან საწყალი ბურები ინგლისელებს და, დღეს თუ არა, ხვალ მაინც, იძულებულ გახდებიან ფარ-ხმალი დაჰყარონ. მაგრამ როცა მოვიგონებთ, რომ ამ ჟამადაც ჰყავს ინგლისს ბრძოლის ველზე 120 ათას კაცამდე და 300 ზარბაზანზედ მეტი, მაგრამ ერთხელაც ვერ დაამარცხეს ბურები, პირ-იქით, სულ თითონ მარცხდებიან, მაშ უნებურად გვებადება კითხვა: საკმარისი იქმნება ეს მაშველი ჯარები და საომარი იარაღი, რომ საქმე ინგლისელების სასარგებლოდ შემოტრიალდეს? უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ჟამად თავისი საუკეთესო ჯარები ჰყავს ინგლისს აფრიკაში. ამ ჯარის კაცთ, რომელნიც ეხლა უნდა გაჰგზავნოს მთავრობამ, თავისს დღეში არ უსუნებიათ თოფის წამლისათვის და სამხედრო წეს-რიგის სრულებით არა გაეგებათ-რა. ამიტომ, გამოდგებიან ისინი ბრძოლის ველზე, და ისიც ბურების წინააღმდეგ, თუ არა, საეჭვოა. ვინ იცის, იქნებ ამ ახალმა ჯარებმა ტყუილა უბრალოდ მომეტებული ხარჯი და მზრუნველობა მოითხოვონ მთავრობის მხრივ, გაკეთებით-კი ბევრი ვერაფერი გააკეთონ. ეს თუ ასე მოხდა, რაც მოსალოდნელია, ინგლისის მდგომარეობა სამხრეთ აფრიკაში ირტის ოდენადაც არ გაუმჯობესდება.

— შემოდგომის კრებაზედ ინგლისის პარლამენტმა 80 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ე. ი. 750 მილიონი მანეთი გადასდო სამხედრო ხარჯისათვის. მაგრამ ეს ფული საკმარისი არ იყო და პარლამენტმა ახალი კრედიტი უნდა გაუხსნას მთავრობას. შეიძლება ორი-სამი ამდენი თანხაც მოუნდეს, მაგრამ პარლამენტი ფულის დაზოგვას არ აპირებს. ინგლისი მდიდარი სახელმწიფოა და, თუ საჭიროება მოითხოვს, მილიარდსაც არ დავიშურებთო,—ამბობენ ერის წარმომადგენელნი.

მაგრამ ბურებიც არ ჩქარობენ ომის გათავებას და მზად არიან იქამდისინ იბრძოლონ, სანამ უკანასკნელი მეომარი ფეხზე იქნება. ეს კიდევ ცოტაა, საქმე ის არის, რომ ორივე რესპუბლიკას იმედი აქვს,—არა მარტო დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა, არამედ ინგლისის სამფლობელოს ზოგიერთი ადგილები კიდევაც შეიერთონ და სამხედრო საზღაურიც გადაახდევინონ ინგლისს. ამ შემთხვევაში საყურადღებოა, თუ როგორის პატივისცემით მიიღეს ტრანსვაალის დესპანი ლეიდსი პარიჟსა და ბერლინში. ზოგიერთი გაზეთების აზრით, ეს პატივისცემა ევროპის ორ დიდ სახელმწიფოს მთავრობათა მხრივ თანასწორია ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებისა.

---

რუსის ცნობილმა პუბლიცისტმა მენშიკოვმა, მგონი შარშან წინ, გაზეთ „Русь"-ში ამ საგნის შესახებ წერილი დაჰბეჭდა. უტყუარ სტატისტიკურ ცნობებით დაასურათა შემზარავი სინამდვილე რუსეთის სოფლებისა, სადაც სიფილისი უშიშრად ჰთარეშობს და ათი-ათასობით ასალმებს მცხოვრებლებს წუთისოფელს... ულმობელ სენის მსხვერპლმა არც-კი იცის თურმე, რითი არის ავად!

სიღარიბე-უმწეობა აგრეთვე ხელს უწყობს გარყვნილებას, ამრავლებს რიცხვს დანაშაულობისას.

ცნობილია, რომ ქარხნებში და იმ უბნებში, სადაც მუშები სცხოვრებენ, გარყვნილება საშინლად არის გავრცელებული.

საწყალი მუშა, რომლის აწმყო ჯოჯოხეთურია და მომავალი უიმედო,—ჰშრომობს მუდმივ, ჰშრომობს დაუფასებლად და პირუტყვულად. ტანჯვა, დამცირება და მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილება—აი მისი აუცილებელი ბედი! ასეთ მდგომარეობაში მყოფი მუშა იმ აზრით, რომ ცოტად მაინც დავიწყებას მიეცეს და სასტიკ სინამდვილეს დროებით მაინც აარიდოს თავი, ღვინოს და არაყს ეტანება და იმათს ოშხივარში ჰლამის ჩაჰკლას გულის ბოლმა და ვარამი. ოფლითა და გაჭირვებით ნაშოვნს ორიოდ გროშს ლუდხანებსა და სამიკიტნოებში მიარბენინებს... დამთვრალ-გაქლენთილი გამოდის ლუდხანიდგან.., და აი აქედგან იწყება გრძელი მწკრივი დანაშაულობათა და გარყვნილებისა, რომელსაც ის ჩაიდენს. ვინ მოსთვლის, თუ რა სახისა და ხასიათის იქმნება ეს დანაშაული და გარყვნილება! ჩხუბი, კაცის კვლა, გაძარცვა, სინიდისისა და ნამუსის დაკარგვა—ესენი აუცილებელი შედეგია სიმთვრალისა. როგორც შედეგი სიმთვრალისა და მის გამომწვევ სიღარიბე-უმწეობისა, ნიმუშად ავიღოთ შემდეგი შემზარავის გარყვნილების შემთხვევა დ დავასახელოთ. მაგალითად, მთვრალი მუშა ჰბრუნდება თავისს სადგომში, სადაც ერთს ოთახში წვანან: მისი დედა და ორი და. სივიწროისა გამო იგი წვება იმათთან ერთად. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გონება დაკარგული ძმა ვინ მოსთვლის რა სისაძაგლეს არ ჩაიდენს ხოლმე. ასეთი მაგალითი ბევრი მომხდარა *) და ამის თავ და პირველი და უმთავრესი მიზეზი სიღარიბე და უმწეობაა...

ვინ უნდა გაამტყუნო და გაჰკიცხო ამ შემთხვევაში? ყველა, გარდა მუშისა, ღარიბ-ღატაკისა! მისი რა ბრალია, რომ იგი ულმობელმა ცხოვრების ჩარხის ტრიალმა გარიყა და ქარხანაში მიიყვანა; ქარხანამ და მისმა წეს-წყობილებამ-კი ლუდხანაში; ლუდხანამ და იქაურმა სასმელმა გონება დაუბნელა და შემზარავი გარყვნილება ჩაადენინა? ასეთი ადამიანი შებრალების ღირსია და არა გაკიცხვისა. ან აქვს თუ არა ზნეობრივი უფლება საზოგადოებას გაჰკიცხოს თვისი წევრი იმ დანაშაულისათვის, რომელშიაც მას მეტი წილი უდევს, ვიდრე დამნაშავეს?

ხშირად სიღარიბე უმწეობის ისეთს დანაშაულობას ჩაადენინებს ადამიანს, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს ყველა მისი მნახველ-გამგონი. მაგალითად, ამას წინად „ხარკოვის უწყებებში" შესანიშნავ და მასთან შემზარავ დანაშაულის ამბავი იყო ნაამბობი; ვორონეჟის ერთს სასწავლებელში სწავლობდა თურმე მედავითნეს შვილი ობოლი ბავშვი. თუმცა კარგად სწავლობდა, მაგრამ რადგანაც მეტის-მეტი ცელქი იყო, მთავრობამ წინადადება მისცა დედას: შენი შვილი ცელქია, ჩვენ იმისი შენახვა არ შეგვიძლიან, აი ორმოცი მანეთი წელიწადში და შენვე შეინახეო. დედა სოფელში სცხოვრობდა, შვილი კი ქალაქში უნდა შეენახა, მაგრამ ორმოც მანეთად აბა როგორ შეინახავდა! შეეხვეწა მთავრობას: იწამეთ ღმერთი და ჩემი შვილი შეინახეთ... ხვეწნამ არ გასჭრა... ცხოვრებისაგან დატანჯულს დედას საშინელმა აზრმა გაურბინა თავში: თავს მოვიკლავ და უსახსროდ დარჩენილს შვილსაც მოვკლავო; უფრო კარგია, ორივენი გამოვესალმოთ წუთი წოფელს, რომლისაგან ტანჯვა-წვალების მეტს არაფერს უნდა მოველოდეთო. ერთს დღეს დედამ მისცა თურმე შვილს შუშით საწამლავი და უთხრა: დალიე, შვილო, ცელქობისაგან განიკურნებიო... შვილმა ნახევარი დალია, ნახევარი-კი დედამ... რამდენისამე ხნის შემდეგ დედა-შვილნი დაიხოცნენ.

სიღარიბემ ამ ნაირად ორ-ნაირი დანაშაული ჩაადენინა საწყალს დედაკაცს; თავისის ხელით შვილი მოაკვლევინა და თავისი თავიც გამოასალმებინა წუთი-სოფელს! აქ მთელი ტრაგედიაა, მთელი ეპოპეიაა სიღარიბე-უმწეობის ძლიერებისა! და მერე ვინ იცის, რამდენი ამ გვარი დანაშაული ხდება დედა-მიწის ზურგზედ სიღარიბის მიზეზის გამო?

გასამტყუნარი აქ ცხოვრების წეს-წყობილებაა და არა კერძო ადამიანი; დამნაშავე აქ საზოგადოებაა და არა კერძო კაცი!

თანამედროვე ცხოვრება ისე მოეწყო, ჩარხი ეკონომიურის წყობილებისა ისე დატრიალდა, რომ (თუმცა გარეგანი ვითარება ცხოვრებისა გაუმჯობესდა, სიმდიდრე გამრავლდა, ცივილიზაციამ ფრთა შეისხა) მომეტებული ნაწილი კაცობრიობისა სიღარიბე-სიღატაკეში ჰლევს სულს.

ყოველს საუკუნეში იყვნენ მჩაგვრელ-დაჩაგრულნი, ყოველთვის იყო ეკონომიური უთანასწორობა, ძარცვა, ექსპლოატაცია, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნეში ეს სენი გაძლიერდა, ფრთები შეასხა, გადამდებ ავადმყოფობასავით მიედო მთელს კაცობრიობას. ლოდსავით დააწვა ეს ლევიათანი საწყალ ადამის შვილს და გულ-ღვიძლს უღრღნის, შეუწყნარებლად არჩობს.

ჰკვნესის იგი, ოხრავს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ხსნა არსაიდგან არ არის! აწმყო მისი ჯოჯოხეთია, მომავალი უიმედო... იგივ ტანჯვა, იგივ დამცირება, იგივ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილება უდგას წინ! წინ უდგას შეუწყვეტელი მუდმივი შრომა, მაგრამ შრომა უშინაარსო, ავტომატიური, დაუფასებელი და პირუტყვული!

ადამიანი ჯერ იბრძვის, ძალ-ღონეს იკრებს და სცდილობს გაუმკლავდეს ცხოვრების უსამართლობას, უგულობას, მაგრამ ბოლოს, როდესაც დარწმუნდება, რომ ხსნა არსად არისო, მომავალი არას მიქადისო, იმას ირჩევს, რომ სიცოცხლე მოისპოს; გადაარჩინოს თავისი თავი ტანჯვა-წვალებას, არ უყუროს თავისს ოჯახის უბედურებასა და უმწეობას!..

იპ. ვართაგავა

*) წიგნები „Преступность и преступники" აუარებელი მაგალითია მოყვანილი ასეთის გარყვნილებისა.

## დამატებანი

არ ვიცოდი რა იყო სიძულილი. გავიცან ხალხი და ეს გრძნობაც შევიძინე!

ს. ყ—ნი

***

არა კაც ჰკლა, გარნა ნუ დაინდობ შენის თავისუფლების დამხშობელსა და შენთა სიწმინდეთა მაგინებელსა, ვინაითგან იგი არა არს კაც.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთ კაცს იადონი ჰყვანდა. იადონი თუმცა გალიაში იჯდა, მაგრამ კარი ამ გალიისა ღია იყო ხოლმე, ასე რომ ფრინველი ხშირად გამოდიოდა და თავისუფლად დასეირნობდა ოთახში. იადონი ხალხსაც შეჩვეული იყო; სტოლს, მაგალითად, სადაც ხალხი იჯდა, სულ არ ერიდებოდა და ამ სტოლიდგან დაუზრკოლებლად მიჰქონდა თავისს გალიაში სუხარის ნამტვრევები, პური, შაქარი და სხვა. პირველ ხანს ძალიან უჭირებდა ხოლმე საქმეს სუხარის ნამტვრევები; ატრიალებდა ასეთ ნამტვრევს და, რომ ვერაფერს დააკლებდა, აიღებდა და ნისკარტით გაჯავრებული გაისროდა. ერთხელ ასეთის წვალებით გაჯავრებულმა იადონმა აიღო სუხარი და იქვე პატარა თეფშში ჩააგდო, საიდგანაც წყალსა ჰსვამდა. პატარა ხანს შემდეგ, ისევ სტაცა ნისკარტი და რა დაინახა რბილი იყო, გადაყლაპა. ამის შემდეგ სუხარს ჯერ წყალში ჩააგდებდა ხოლმე და შემდეგ შეექცეოდა. ერთხელ იადონმა სტოლიდგან შაქრის დიდი ნატეხი წაიღო და ისიც წყალში ჩააგდო, ვითომ ისიც დალბესო. როდესაც შემდეგ თეფშთან მივიდა, ჰნახა რომ შაქარი სრულიად გამდნარიყო. ეს ამბავი საშინლად გაიკვირვა, ნისკარტით და ფრთებით ბევრი უტყაპუნა წყალს, მაგრამ შაქარს სადღა იპოვნიდა. იადონი იმდენად გონება მახვილი გამოდგა, რომ ამის შემდეგ შაქარი აღარც ერთხელ აღარ ჩაუგდია წყალში, თუმცა ამავე დროს სუხარსა და სხვა მაგარს რამეებს უწინდელებრ ალბობდა და ისე შეექცეოდა.

ერთხელ ერთი ძაღლი მინდორში მკვდარის ცხენის ლეშის ერთ მოზრდილს ნაჭერს შეექცეოდა. საიდგანღაც ყვავი მიფრინდა ძაღლთან; ბევრი უტრიალა, მაგრამ ვერაფერი წაართვა. ბოლოს ცოტა მოშორებით პატარა ძვალი დაინახა, დაავლო ამ ძვალს ნისკარტი და ხეზედ შემოჯდა, ცოტა ხანს უკან სხვა ყვავებიც მოფრინდნენ. დიდ ხანს უტრიალეს ამათაც ძაღლს, მაგრამ რაკი ამ უკანასკნელმა ახლოც არ მიუშვა, ერთის ხმაურობით და ყვირილით იმ ყვავს მისცვივდნენ, რომელსაც ნისკარტით ძვალი ეჭირა. ხან ერთმა წაართვა ეს ძვალი და ხან მეორემ, ბოლოს აიღეს და ძირს ჩამოაგდეს. ძაღლმა თავის და უნებურად მიაქცია ყურადღება ყვავების ხმაურობას და რა დაინახა, რაღაც ჩამოვარდაო, გაანება თავი ლეშს და იქითკენ გაქანდა; ამავე დროს ყვავებმა, რომელნიც გაფაციცებით უყურებდნენ ძაღლს, სტაცეს ნისკარტი ლეშს და ხევით აიტაცეს. ეშმაკმა ყვავებმა ძაღლს ცარიელი ძვალიღა დაუტოვეს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 იანვარი.

**ბერლინი.** რეიხსტაგი განაგრძობს ფლოტის გაძლიერების პროექტის განხილვას. გრაფი არნიმი (იმპერიის პარტია) ცხარეთ იცავს პროექტს. სტატს-სეკრეტარი პოსადოვსკი ამბობს, ერთად ერთი საკითხია გამოსარკვევი. საჭიროა თუ არა ფლოტის გაძლიერება და შეუძლიან თუ არა გერმანიის ერს ახალის ხარჯის გარდახდა. პოსადოვსკიმ აღნიშნა შემდეგ, როგორ იმატა გერმანიაში აღებ-მიცემობამ, ზღვით საქონლის გაზიდვამ და ხალხის კეთილ-დღეობამ. დასასრულ პოსადოვსკიმ გაახსენა რეიხსტაგს, რომ „პროექტი ერთხმად იყო მოწონებული და მიღებული იმპერიის სახელმწიფოთა საბჭოს მიერ“. რიხტერმა სთქვა რომ აღებ-მიცემობა გაძლიერდა სწორედ მაშინ, როდესაც გერმანიას ცოტა კრეისერები ჰყავდა და რომ ეს გაძლიერება შედეგია ერის ეკონომიურის გაძლიერებისა და მის მოთხოვნილებათა ზრდისაო. რიკკერტი ენერგიულად იცავდა პროექტს. პოლონელმა მოტტიმ პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა, ლიბერმანმა და ლიტოველმა სმალაკისმა-კი—პროექტის სასარგებლოდ.

**რომი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, მინისტრმა ვისკონტი-ვენოსტამ სთქვა, რომ იტალიასა და ინგლისს შორის ყოველთვის მეგობრული განწყობილება ჰსუფევდაო. მინისტრი დარწმუნებულია, რომ სამხრეთ-აფრიკის ომს არ შეუძლიან იმდენად გაამწვავოს საქმეები, რომ საერთო განხეთქილება გამოიწვიოს. ყოველ შემთხვევაში იტალიის მთავრობა დაიცავს თავისს ქვეყნის ინტერესებს და არ უღალატებს თავისს უწინდელ პოლიტიკას. ეს მით უფრო ადვილია, რომ იტალიას ყველა სხვა სახელმწიფოსთან კარგი განწყობილება აქვსო.

**ლონდონი.** ინგლისური სამუშაო გემი, რომელიც 20 დეკემბერს გავიდა კლარიდგან ნიკოლაევისაკენ, ჯერაც არ მისულა დანიშნულს ალაგას. ჰფიქრობენ, რომ გემი, რომელზედაც 19 კაცი იყო, დაიღუპაო.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს ჯერ არავითარი ცნობა არ მოსვლია ბულლერის უკან დაწევის შესახებ.

**ლორენცო-მარკეზი.** ბურების უმთავრეს ბანაკიდან ლედი-სმიტთან იუწყებიან, რომ ინგლისელებმა თავი დაანებეს მოლენსპრუიტის გორაკს, რადგანაც ვეღარ გაუძლეს ბურების ზარბაზნების სროლასაო. ინგლისელები ისევ დაბრუნდნენ ძველს პოზიციებზე ტუგელის გაღმა.

**ლონდონი.** რობერტი იტყობინება, რომ გატეკრმა განდევნა ბურები პენკუკიდან და მდ. ფოგელიდანაო. რობერტსი იუწყება მაკდონალდს უნდოდა გზა შეეკრა მტრისათვის, რომელიც აპირებდა ბელმონტის რკინის გზის ლიანდაგის ხელში ჩაგდებას. ბურების პოზიცია დაჰყურებდა მდ. რიტის ერთს ფონს. მტერი ამაოდ სცდილობდა გეიტლენდერების განდევნას პოზიციიდგან. მაკდონალდს გენერალ ბადინგტონის ჯარი მიეშველა. ბურები უკუქცეულ იქმნენ“.

**ბრიუსელი.** ლეიდსი უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომც სახელმწიფოებს გადაეწყვიტოთ ომში ჩარევა, თუ ინგლისელები ბურების რესპუბლიკების ტერრიტორიებზე გადავლენო. ლეიდს უთქვამს, რომ ბურები აქამდის კარგ მდგომარეობაში არიანო. არა მგონია, რომ ინგლისელებმა ლედი-სმიტის განთავისუფლება შესძლონ. ლეიდსი დარწმუნებულია, რომ ომი დიდხანს გაგრძელდება; დარწმუნებულია აგრეთვე, რომ ბოლოს ბურები გაიმარჯვებენ. ლეიდსს არ სჯერა, ვითომც ინგლისელებს შეეძლოთ ორანჟეს რესპუბლიკის ტერრიტორიაზე გადასვლა, რადგანაც რესპუბლიკის საზღვრები ძალიან კარგად არის გამაგრებულიო.

**ლონდონი.** პალატამ განიხილა და უარჰყო რამდენიმე შესწორება ადრესისა; ამის შემდეგ ბალფურმა წინადადება შეიტანა—შევსწყვიტოთ ადრესის შესახებ კამათიო. წინადადება მიღებულ იქმნა 215 ხმით, 64 ხმის წინააღმდეგ, ხოლო თვით ადრესი დამტკიცებულ იქმნა 229 ხმით 39 ხმის წინააღმდეგ. წინააღმდეგნი ირლანდიელნი იყვნენ.

ბალფურმა განაცხადა პალატაში, რომ, როგორც ბრძოლის ველიდან მოსულ ცნობებიდგანა ჩანს, ბულლერი არა სჩქარობს იმ პოზიციების დატოვებას, რომელნიც ოთხ შაბათს დაიჭირაო. როდესაც შეეკითხნენ, მიიღო თუ არა მაკდონალდმა ბრძანება უკან დაწევის შესახებაო, ბალფურმა უპასუხა, რომ ამის შესახებ არაფერი ცნობა არ მიმიღიაო.

პარლამენტში წინადადება შეიტანეს ახალის კრედიტის გადადების შესახებ. მთავრობა თხოულობს 13 მილიონ გირვანქა სტერლინგს 20,000 კაცის შესანახად, რომელნიც 21 მარტამდე ჯარში იქმნებიან ჩარიცხულნი.

**ლონდონი.** ბურების მთავარ ბანაკიდგან ლედი-სმიტთან იუწყებიან, 26 იანვარს, რომ ბურებმა ყუმბარები დაუშინეს სამხედრო მატარებელს ჩიველეიდგან კოლენზოსკენ მიმავალს. მატარებელი, რომელშიაც 2,000 კაცი იყო, იძულებული გახდა ჩიველეიში დაბრუნებულიყოო.

კოლენზოსა და მდ. ტუგელთან დღეს სროლა იყო.

**ლორენცო-მარკეზი.** ბურების მთავარ ბანაკიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ 27 იანვარს, დილით, ინგლისის ჯარებმა დასტოვეს ახლად დაჭერილი პოზიციები და უკანვე გადავიდნენ მდ. ტუგელზედაო.

**კალკუტა.** ინდოეთის ჯარების მთავარ-სარდალი უილიამ ლოკკარტი იმდენად ავად არის, რომ ინდოეთიდგან უნდა წავიდეს.

30 იანვარი

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია სპირმანიდგან მოსული დეპეშა, რომლითაც იტყობინებიან, რომ გენერალ ბულლერის ჯარები ისევ მდ. ტუგელის სამხრეთით სდგანან, მაგრამ დროებითაო. ჯარების უკან დაწევა გამოიწვია იმ ცნობებმა, რომელიც შეკრიბა ბულლერმა წინ წაწევის დროს. ყველა ჯარები მალე ისევ დაიწყებენ მოქმედებას.

**ლონდონი.** ინკონდლში, ზულუსთა ქვეყანაში, ადგილობრივმა მმართველმა ააფეთქა წამლის საწყობი და მოხელეებთან ერთად გაიქცა.

**ბერლინი.** ხანგრძლივის კამათის შემდეგ რეიხსტაგმა ფლოტის გაძლიერების პროექტი საბიუჯეტო კომისიას გადასცა.

**ვაშინგტონი.** სენატი. კრების დაწყებისას ოლლენმა შეიტანა შემდეგი წინადადება: „შეერთებულ შტატების მცხოვრებნი უცხადებენ თავისს თანაგრძნობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებს, მათ გმირულ ბრძოლას რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვისათვის; ამასთან შეერთებულ შტატების მთავრობა მოვალეობად სთვლის, რომ ლაპარაკი აღძრას შუამდგომლობის შესახებ მშვიდობიანობის დასამყარებლად“. კრებას ცოტანი დაესწრნენ. წინააღმდეგობა არავინ განაცხადა, ამიტომ, ვიდრე ვინმე რასმეს მოიფიქრებდა, კენჭი ჰყარეს და გამოაცხადეს, რომ წინადადება მიღებულიაო. სენატორებმა ღიმილით და სიამოვნებით ერთმანერთს შეჰხედეს. ზოგიერთებმა, ამათ შორის ოლლენმაც, ხმა მაღლა ძახილი ასტეხეს. სენატორმა ფრაიმ განაცხადა, ხმები შეიკრიბოს „ჰო“ და „არა“-ობითაო. ოლლენმა პროტესტი განაცხადა. პრეზიდენტი დაეთანხმა მას, მაგრამ ჰსთხოვა, რომ ხელ-ახლად განიხილონ წინადადება და არ ჩასთვალონ საქმე გადაწყვეტილად.


## განცხადებანი




(50—267—4)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მისის თანადასწრებით, 1900 წლის 5 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: უნდა გაიცეს იჯარით სამის წლის ვადით ახლად გადაკეთებული ქალაქის ქარვასლა (შიოევისეული), რომელიც ქალაქის მეექვსე ნაწილში, აბანოებთან იმყოფება. ქარვასლასა აქვს 4 მაღაზია ოთხის ოთახით, სარდაფებით და ფეხის ადგილით სართულში; რვა ოთახია სამხარეულოთი, ბალკონით და ფეხის ადგილით მეორე სართულში და 4 ოთახი ბალკონით და ფეხის ადგილით ზევითა სართულში, ქარვასლის ძველს ნაწილში.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან გაიცნოს დაწვრილებითი პირობები ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდგან ორ საათამდე.

(3—6.—3)

ჰუშვინის ფოტოგრაფია

1892 და 1899 წ. [illegible]

[illegible]

(30—44—7)

დაიბეჭდა და ისყიდება

### 1900 წ.

ქართული

### კედლის კალენდარი

გრ. ჩარკვიანისა.

(წელიწადი XII)

უმთავრესი საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაში.

ფასი 40 კაპ.

გარეშე პირთ ამ ადრესით შეუძლიან გაიწერონ: Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности; дворц. ул. д. дворянства, № 101.

(10—3.)

### წყვილი 5 მანეთი

ბუხარის წმინდა ბამბისაგან მომზადებული **საბნები**, დიდი, თბილი და ლამაზი. მსურველს შეუძლიან გამოიწეროს ასეთი საბნები მხოლოდ

ალექსანდრე ნესტორის ძის ივანოვის

**მაღაზიიდგან:** მოსკოვი, ტვერის ქუჩა, პოსტნიკოვის პასაჟი. დაბარება ფას-დადებით შეიძლება. გამოგზავნის ფასი დამკვეთმა უნდა გადაიხადოს. ერთი საბნის დაბარება არ შეიძლება. ვისაც რკინის გზით ჰსურს მიიღოს, უნდა წინდაწინვე გადაიხადოს ნახევარი ფასი საქონლისა.

წერილები რუსულ ენაზედ უნდა გამოგზავნოს.

ადრესი: Москва, тверская, пассажъ Постникова, Александру Несторовичу ИВАНОВУ.

(3—6.—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 31 Января 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე